

კლიმატის ცვლილების ფონზე მდინარე ჭოროხის და აჭარისწყლის წყალდიდობების რისკების შეფასება

გიორგი ბრეგვაძე

ელ.ფოსტა: giorgi.bregvadze@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების სარისკო პერიოდების (თვეების) დასადგენად გამოყენებულ იქნა მდ. ჭოროხის და აჭარისწყლის დაკვირვებული მონაცემები და შეფასდა თვის საშუალო, მყისური და დღიური მაქსიმალური წყლის ხარჯები. ასევე შეფასდა დაკვირვებული პერიოდში ცალკეულ თვეში წლის მაქსიმალური ხარჯის მოხვედრის რაოდენობა. მდინარე ჭოროხის წყალსაცავებით დარეგულირება საგრძნობლად შეამცირებს წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკებს. მაგრამ მას თან ახლავს, წყალსაცავებში ნატანი მასალის შეკავება, რაც მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მდინარე ჭოროხის დელტაში სანაპირო ზოლზე. ამ რეალობაში მდინარე აჭარისწყლის წყალდიდობისა და წყალმოვარდნების წვლილი საგრძნობლად გაიზრდება.

მდინარე ჭოროხსა და აჭარისწყალზე წყლის მაქსიმალური რაოდენობის განსაკუთრებული სიდიდით და სიხშირით გამოირჩევა აპრილ-მაისის და ოქტომბრის თვე და თუ ამას დაემატება მყარი ნატანის დეფიციტი და შტორმული მოვლენები მდინარე ჭოროხის შესართავში, ეს კიდევ უფრო გაზრდის სანაპირო ზონის წარეცხვა-დატბორვის რისკს.